



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 56

2017 წელი 27 ოქტომბერი

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 29 სექტემბრის N1720/02 მომართვის საფუძველზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ახალშენში მდებარე 68 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებულ 41კვ.მ შენობა-ნაგებობასთან ერთად (ს/კ 22.23.03.179), შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი #358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე